United Nations
Network on Migration

Working Better Together

გაეროს მიგრაციის ქსელის სამუშაო გეგმა

2021 – 2022 წლების პრიორიტეტები

2021წლის 28 აპრილის მდგომარეობით

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიგრაციის ქსელის (მიგრაციის ქსელი) მიზანია სისტემური მხარდაჭერა აღმოუჩინოს წევრ სახელმწიფოებსა და ყველა პარტნიორს უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ გლობალური კომპაქტის (მიგრაციის გლობალური კომპაქტი) დანერგვის, შემდგომი შესრულებისა და მიმოხილვის საკითხებში. წარმოდგენილ სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია აღმასრულებელი კომიტეტის ხელძღვანელების შეხვედრისა და 2020 წლის დეკემბერში ჩატარებული ყოველწლიური შეხვედრის, ასევე 2021 წელს ქსელსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის გამართული პირველი კვარტალური კონსულტაციების შედეგები. იგი ასევე ეფუძნება გაეროს სისტემისა და მისი პარტნიორების კოვიდ-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის მიმდინარე ღონისძიებებს და გვამცნობს მიგრაციის მიმოხილვის პირველი საერთაშორისო ფორუმის შესახებ (მიგრაციის საერთაშორისო ფორუმი), რომელიც 2022 წლის დასაწყისში გაიმართება.

2021-2022 წლებში აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელების პროცესში, მიგრაციის ქსელი განაგრძობს პრიორიტეტებისა და საჭიროებების ცვლილებაზე მორგებას.

მიმოხილვა

მიგრაციის ქსელმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გასული ორი წლის განმავლობაში. დასრულდა დაფუძნების ეტაპი. ახლა საჭიროა გაძლიერდეს აქცენტი უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ გლობალური კომპაქტის დანერგვასა და წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორების მხარდაჭერაზე მიგრაციის საერთაშორისო ფორუმთან დაკავშირებით.

შემდგომ პერიოდში ძირითადი პრიორიტეტები იქნება უფრო მტკიცე მოქმედების უზრუნველყოფა წევრი სახელმწიფოების დასახმარებლად და გაეროს სისტემის მხარდაჭერის გაძლიერება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის დონეებზე, მიგრაციის გლობალური კომპაქტის დასანერგად 360-გრადუსიანი ხედვის გამოყენებით. აქ ასევე იგულისხმება გაეროს ეროვნული გუნდები (ან მიგრაციის ქსელების დაფუძნების ადგილები), მუდმივ წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. მიგრაციის ქსელი ყველა დონეზე უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს თავსებადობას და თანმიმდევრულობას, რაც განსაზღვრავს საფუძვლიან მიდგომას ყველა მიზანთან მიმართებით. ეს მოიცავს უფრო სტრუქტურირებულ ჩართულობას მიგრაციის გლობალური კომპაქტის ჩემპიონი ქვეყნების მხრიდან (მათ შორის ამ χგუფის გაფართოების მცდელობას) და, ამავე დროს, იმის აღიარებას, რომ მიგრაციის გლობალური კომპაქტი გლობალური წამოწყებაა. ეს ასევე მოიცავს მიგრაციის ქსელის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუმენტების დანერგვას და გამოცდას. მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრი წევრ სახელმწიფოებსა და დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს ინტერაქტიურ პლატფორმას მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად, მათ შორის სადისკუსიო სივრცეებისა და ასევე მიგრაციის ქსელის მიერ დღემდე შესრულებული სამუშაოს მეშვეობით.

საჭიროა უფრო მეტი ინვესტიციის განხორციელება, რათა გაეროს სისტემის სრული ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობები გამოყენებულ იქნას პრიორიტეტების განსაზღვრისა და

განხორციელების მიზნით ყველა დონეზე - გლობალურ, რეგიონულ და ქვეყნის დონეზე ქსელის აღმასრულებელი კომიტეტის მიღმა. ამასთან, მართალია, მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული დაინტერესებული მხარეების მიგრაციის ქსელში შინაარსიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ განხორციელდება დამატებითი ღონისძიებები ყველა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციის გასაღრმავებლად და გასაფართოებლად ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია მთლიანად მიგრაციის ქსელთან და დაინტერესებულ მხარეებთან კვარტალურად დაგეგმილი შეხვედრები: დისკუსიების გასამდიდრებლად, რომელთა მიზანი იქნება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და მოდიფიცირება, სრული ჩართულობის უზრუნველყოფა და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა.

ანგარიშვალდებულებისა და ჩართულობის გასაძლიერებლად გამოყენებული იქნება: კვარტალური შეხვედრები (როგორც ქსელის, ასევე დაინტერესებული მხარეებისათვის); განსახორციელებელი მოქმედებების მკაფიო კალენდარი, რომლის შესაბამისადაც შეფასდება ქსელი მიგრაციის საერთაშორისო ფორუმის წინ; ქსელის აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელებისთვის ინფორმაციის რეგულარული მიწოდება; და ქსელის მითითებები წევრი სახელმწიფოების მიმართ. გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგს განახორციელებს მიგრაციის ქსელის სამდივნო.

ძირითადი პრიორიტეტები

პირველი სამუშაო გეგმიდან გამომდინარე, რიგი ძირითადი პრიორიტეტები გათვალისწინებულ იქნა ახალ სამუშაო გეგმაში და განახლდა ახალი აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესაბამისად.

ქსელი კვლავ გაამახვილებს ყურადღებას მხარდაჭერასა და ორმხრივ დიალოგზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიგრაციის კოორდინაციის მექანიზმების გასაძლიერებლად ქვეყნისა და რეგიონის დონეზე და მიგრაციის გლობალური კომპაქტის ქვეყნის დონეზე დასანერგად. ეს მიიღწევა მიგრაციის გლობალური კომპაქტის განხორციელების ეროვნული გეგმების შემუშავების ან ეროვნულ სამოქმედო გეგმებში, მათ შორის განვითარების გეგმებში, მიგრაციის გლობალური კომპაქტის წინ წამოწევის ხელშეწყობის გზით.

ეს დიდწილად მოიცავს შემდეგ საკითხებს, რომლებიც ასახულია მიგრაციის ქსელის სამუშაო გეგმებში:

- ჩემპიონ ქვეყნებთან, სხვა წევრ სახელმწიფოებთან და ქვეყნის/რეგიონის ქსელებთან ან ქვეყნის რეგიონის მიგრაციის კოორდინაციის სხვა მექანიზმებთან მუშაობა მიგრაციის ქსელის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტებისა და რესურსების გამოცდის საკითხებთან დაკავშირებით, დღემდე შესრულებული სამუშაოს კონკრეტული გამოყენებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;
- განვითარების კოორდინაციის ოფისთან (DCO) კოორდინაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის საერთო ანალიზისა (CCA) და გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულების (UNSDCF) დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მიგრაციისა და მიგრაციის გლობალური კომპაქტის ეფექტიანი ინტეგრირება განვითარების გეგმებში;
- დისკუსიისა და ანალიზის ხელშეწყობა მიგრაციის გლობალური კომპაქტის

დანერგვასთან დაკავშირებული იმ სირთულეებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გამოწვეულია მიგრაციის მიმდინარე ცვლილებებით კოვიდ-19-ის გამო;

- სამოქალაქო საზოგადოების, პარტნიორი დაინტერესებული მხარეებისა და მიგრანტთა ჯგუფების უწყვეტი ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის მოსმენებისა და მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრის სადისკუსიო სივრცეების ორგანიზების გზით თემატური პრიორიტეტების შესახებ, რომლებიც განისაზღვრება არსებული და ახლად წარმოქმნილი საკითხების ირგვლივ.
- დინამიკური პროცესის წახალისება ყველა პარტნიორის, მათ შორის წევრი სახელმწიფოების ჩართულობით, განსაკუთრებით მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით წევრებს შორის კომუნიკაციის მიზნით;
- უზრუნველყოფა, რომ მრავალპარტნიორული სამიზნე ფონდი (MPTF) გახდეს ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს მიგრაციის გლობალური კომპაქტის დანერგვას და გავლენას, მათ შორის დონორთა ბაზის დივერსიფიცირებისა და დამატებითი რესურსების მობილიზების ხარჯზე;
- წევრი სახელმწიფოებისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა მიგრაციის გლობალური კომპაქტის შემდგომი ღონისძიებებისა და მიმოხილვის პროცესის მომზადებისა და ორგანიზების საკითხებში, 2022 წელს მიგრაციის საერთაშორისო ფორუმის მოსამზადებლად, მათ შორის გენერალური მდივნის ანგარიშების მეშვეობით ორ წელიწადში ერთხელ; და
- მიგრაციის ქსელის ერთიანი პოზიციის უზრუნველყოფა მიგრაციის გლობალურ კომპაქტთან მიმართებით.

თემატური პრიორიტეტები

ამასთან, აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელებმა, ქსელის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა განსაზღვრეს რიგი თემატური პრიორიტეტები მიგრაციის ქსელისთვის ყოველწლიური შეხვედრის და ქსელსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის გამართული პირველი კვარტალური კონსულტაციების ფარგლებში განხორციელებული დისკუსიების შემდეგ.

წინამდებარე სამუშაო გეგმის თითოეული თემატური პრიორიტეტი ასევე ეხება იმ ხუთ თემატურ სფეროს, რომლებიც დამტკიცებულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ პირველი სამუშაო გეგმის ფარგლებში და მიგრაციის მრავალპარტნიორულ სამიზნე ფონდს (MPTF), რათა უზრუნველყოფილი იქნას მიგრაციის გლობალური კომპაქტით გათვალისწინებულ 360-გრადუსიან მიდგომასთან თავსებადობა.

აღნიშნული თემატური მიზნები მოიცავს ქსელის პირველი, 2019 წლის სამუშაო გეგმის **არსებულ თემატურ სამუშაო ჯგუფებს (TWGs)**, მათი სამუშაოს დასკვნით ეტაპზე ინსტრუმენტებისა და მითითებების დასრულებისა და გამოცდის პროცესში და მათი მიზანია სისტემების ამოქმედება დღემდე შესრულებული სამუშაოს მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს დაკავების ალტერნატივას; დაუცველ მდგომარეობაში მყოფ მიგრანტთა მიმართ კანონიერი გზების გამოყენებას; შრომითი მიგრაციის შესახებ ორმხრივ შეთანხმებებს; და უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას და მდგრად რეინტეგრაციას. წინა თემატური სამუშაო ჯგუფი მონაცემების შესახებ ასახულია მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრის შესახებ ნაწილში; ხოლო არსებული თემატური ჯგუფი მომსახურებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გადამუშავებულია და სპეციალური აქცენტი კეთდება კოვიდ-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის, მათ შორის ვაქცინების ხელმისაწვდომობის საკითხებზე.

ზემოხსენებულ სამუშაო ჯგუფებთან ერთად, განისაზღვრა რიგი **ახალი თემატური პრიორიტეტები და სამუშაო ჯგუფები**, რომლებზეც მიგრაციის ქსელმა 2021-2022 წლებში უნდა გაამახვილოს ყურადღება. ესენია: მიგრანტების ჩართულობის უზრუნველყოფა და მიგრაციის გლობალური კომპაქტი კოვიდ-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების პროცესში; მიგრაციის გლობალური კომპაქტის გამოყენება მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად და უთანასწორობის შესამცირებლად; ქსელის პოლიტიკის დოკუმენტის - „კოვიდ-19-ის გავლენა ოჯახების მიერ მიღებულ ფულად გზავნილებზე“ - რეკომენდაციების ამოქმედება; კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმებისა (COP 21) და კლიმატის ცვლილებისა და მიგრაციის გლობალური კომპაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა; მიგრანტთა დაცვის უზრუნველყოფა საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანაზე რეაგირების გაძლიერებისა; და ქსელის მუშაობის პროცესში გენდერული და ანტიდისკრიმინაციული, მათ შორის რასიზმის, ქსენოფობიისა, შეუწყნარებლობის შესახებ განზომილებების გამოყენება.

ახალ პრიორიტეტებზე მუშაობისას ყურადღება კვლავ გამახვილდება ქსელის პარტნიორებთან თანამშრომლობით ძირითადი შედეგების განსაზღვრაზე, ქვეყნის დონეზე აქცენტით, რომლის მხარდაჭერაც გლობალურ და რეგიონულ დონეზე ხორციელდება.

მიგრაციის ქსელის 2021 – 2022 წლების სამუშაო გეგმა განსაზღვრავს საერთო პრიორიტეტებს, რომელთაგან თითოეულის შესაბამისი აქტივობები მიღწეული უნდა იქნას 2022 წელს დაგეგმილი მიგრაციის საერთაშორისო ფორუმის ჩატარებამდე, ამასთან, სერიოზული აქცენტი კეთდება მხარდაჭერაზე რეგიონულ და ქვეყნის დონეებზე. სამუშაო გეგმა ითვალისწინებს

სივრცეს, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ ამოცანების შესასრულებლად საუკეთესო სამუშაო მეთოდების შესახებ, მათ შორის ახალი სამუშაო ჯგუფების შექმნის ან სხვა უფრო შესაფერისი მოდელების გამოყენებით.

საერთო საკითხები

მიგრაციის ქსელთან და პარტნიორ დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია მიგრაციის გლობალური კომპაქტის ისეთი სახელმძღვანელო პრინციპების ინტეგრაციის ხელშეწყობა, როგორებიცაა გენდერული ასპექტების გათვალისწინება რეაგირება, მდგრადი განვითარება, ადმიანის უფლებები და დისკრიმინაციის ყველა ფორმის, მათ შორის რასიზმის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის აღმოფხვრის შესაბამისი ვალდებულებები. თუმცა, გენდერისა და რასიზმის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის საჭიროება ხშირად წარმოიჭრება და ეს საკითხი კონკრეტულ და უშუალო ინტეგრირებას საჭიროებს მიგრაციის ქსელის მუშაობის პროცესში.

ქსელის მიზანია ამ ყველაფრის ეფექტიანი ინტეგრაცია თავის საქმიანობაში მიგრაციის გლობალური კომპაქტის სახელმძღვანელო პრინციპებისკენ სწრაფვის პროცესში და აღნიშნავს, რომ ამ საკითხების განხორციელება განცალკევებით შეუძლებელია. წინამდებარე სამუშაო გეგმის განხორციელება სექციებს შორის კონტექსტში ხელს შეუწყობს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასთან, მათ შორის რასიზმთან, ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტიან და სისტემურ გათვალისწინებას ყველა დონეზე.

საკითხების გამჭოლი ხასიათის გათვალისწინებით და ზედმეტად რთული დამატებითი სტრუქტურების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა გააზრება, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ მიზნის უკეთ განხორციელება. საჭირო იქნება ძირითადი ელემენტები დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო ჩართულობის/ლიდერობის უზრუნველყოფისთვის და მკაფიოდ ჩამოყალიბება, თუ როგორ შეუძლია ქსელს უზრუნველყოს მიზნობრივი მიდგომა ისე, რომ მკაფიოდ აჩვენოს შედეგი.

ქსელი დაიწყებს სამუშაოს შესრულებას დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან დაკავშირებით და ყურადღებას გაამახვილებს აღნიშნულ გამჭოლ საკითხებზე მიგრაციის გლობალური კომპაქტის რიგი სხვა სახელმძღვანელო პრინციპების მომავალში სხვა მიმართულებით გათვალისწინების მიზნით.

ძირითადი პრიორიტეტები

ძირითადი პრიორიტეტი 1

მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრი (შესაძლებლობის შექმნის მექანიზმის საინფორმაციო ცენტრი და ცოდნის გლობალური პლატფორმა) მოქმედია და მასში თავმოყრილია სრული ინფორმაცია მიგრაციის შესახებ

აქტივობები:

1. დისკუსიების სერიის ორგანიზება მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, რომელიც თავს მოუყრის ექსპერტებს, ქსელის წევრებს, წევრ სახელმწიფოებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიგრაციის გლობალური კომპაქტის შერჩეული მიზნებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ირგვლივ.
   - ვადა: 2021-2022
2. სპეციალური, ინტერაქტიური სივრცეების შექმნა ქსელის ინსტრუმენტებისა და შესახებ უკუკავშირის მისაღებად და მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
   - ვადა: 2021-2022
3. სპეციალური ვებგვერდის შემუშავება, რომელზეც წარმოდგენილი იქნება წევრი სახელმწიფოებისა და მიგრაციის საერთაშორისო ფორუმის სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული მასალები.
   - ვადა: 2021-2022

წამყვანი ორგანიზაცია: მიგრაციის საერთაშორის ორგანიზაცია (IOM)

წევრები: გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი (UN DESA) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს უნივერსიტეტი (UNU), გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), გაეროს სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი (UNITAR), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტი, სამუელ ჰოლი

ძირითადი პრიორიტეტი 2.1

გაეროს სისტემის გაძლიერება მიგრაციის გლობალური კომპაქტის განსახორციელებლად

აქტივობები:

1. გაეროს ეროვნული გუნდების სწავლების დასრულება და გამოცდა მიგრაციის შესახებ კონვენციის ქვეყნის განვითარების შესაბამის პროგრამებში და კოვიდ-19-ის შემდგომი აღდგენის გეგმებში (მათ შორის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის საერთო ანალიზი, გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებები (UNSDCFs), ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვები (VNRs), გაეროს ეროვნული გუნდების

ერთობლივი სამუშაო გეგმები (JWPs)) ასახვის მიზნით.

- ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი

2. 2.1. ძირითადი სამუშაო ჯგუფის მითითებებისა და ინსტრუმენტების დანერგვა
    - ვადა: 2021
3. გაეროს ეროვნული გუნდებისთვის ინსტრუმენტებისა და მითითებების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მიგრაციის შესახებ მოსაზრებების გათვალისწინება ეროვნული განვითარების გეგმებსა და ბიუჯეტებში, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის საერთო ანალიზის დოკუმენტებში, გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებებსა (UNSDCFs), და დაგეგმვის სხვა შესაბამის ინსტრუმენტებში.
    - ვადა: 2021 და 2022

სხვა წამყვანი ორგანიზაციები IOM, UNDP

წევრები: ILO, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), UNHCR, გაეროს სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი (UNITAR), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), გაეროს უნივერსიტეტი (UNU), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო), ACT ალიანსი; მოქმედების კომიტეტი, რომელიც წარმოდგენილია მიგრანტთა ფორუმით აზიაში; დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE); საზღვარგარეთის განვითარების ინსტიტუტი (ODI); განვითარების ცენტრი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD); გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაცია (UCLG).

ძირითადი პრიორიტეტი 2.2

მიგრაციის გლობალური კომპაქტის ეროვნული დანერგვის გეგმები

აქტივობები:

1. მიგრაციის გლობალური კომპაქტის ეროვნული დანერგვის გეგმების შემუშავების შესახებ მითითებების დასრულება.
   - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
2. 2.2 ძირითადი სამუშაო ჯგუფის მითითებებისა და ინსტრუმენტების დანერგვა
   - ვადა: 2021-2022
3. შესაძლებლობების შექმნისა და საინფორმაციო სემინარების ორგანიზება
   - ვადა: 2021
4. მოთხოვნის შემთხვევაში წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა, მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმისთვის წარდგენილ ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვების ანგარიშებში მიგრაციის გლობალური კომპაქტის წინ წამოწევის საკითხში.
   - ვადა: 2021-2022

სხვა წამყვანი ორგანიზაციები IOM, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), UNDP

წევრები: ILO, UNHCR, გაეროს სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი (UNITAR), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), WHO, გაეროს უნივერსიტეტი (UNU), ACT ალიანსი; სამოქმედო კომიტეტი წარმოდგენილი ორგანიზაციებით Alianza Americas და უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM); ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI); დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE); განვითარების ცენტრი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია(OECD); კვაკერთა გაეროს ოფისი (QUNO); გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაცია (UCLG).

ძირითადი პრიორიტეტი 3

საერთო პროცესების მხარდაჭერა მიგრაციის გლობალურ კომპაქტთან დაკავშირებით

აქტივობები:

1. გენერალური მდივნის ანგარიშის მომზადება და წარდგენა
    - ვადა: 2021 – 2022 წლის პირველი კვარტალი
2. რეგიონული მიმოხილვების მხარდაჭერის კოორდინირება
    - ვადა: 2021წლის პირველი - მე-2 კვარტალი
    - მიგრაციის მიმოხილვის პირველი საერთაშორისო ფორუმისთვის მზადების მხარდაჭერა ვადა: Q3 – Q4 2021; 2022 წლის პირველი-მე-2 კვარტალი

ძირითადი პრიორიტეტი 4

ერთიანი პოზიციის გამოხატვა

აქტივობები:

1. გლობალური საკომუნიკაციო სტრატეგიის დანერგვა
   - ვადა: – 2021 წლის მე-2 კვარტალი
2. ქსელის განცხადებების შემუშავება ძირითად ღონისძიებებთან დაკავშირებით.
3. ქსელის განცხადებების შემუშავება მოვლენების მწვავე განვითარებაზე დროული რეაგირების ან მათი პროგნოზირების მიზნით.
4. ისეთი სიტუაციების განსაზღვრა, რომელთა შემთხვევაში ქსელის განცხადებებს დამატებითი ღირებულება აქვს და ამგვარი სიტუაციებისთვის პოლიტიკური ან საოპერაციო რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის სამუშაო გეგმით განსაზღვრულ მიმართულებებში.
5. საჭიროების შემთხვევაში საერთო განსახილველი საკითხების, პოზიციის ამსახველი დოკუმენტების, ფაქტობრივი ინფორმაციისა და ინფოგრაფიკის, პრესრელიზების, მიმოხილვებისა და მსგავსი დოკუმენტების მომზადება. ქსელის ერთობლივი კომუნიკაცია უნდა ასახავდეს მიგრაციის გლობალური კომპაქტის დანერგვის მაგალითებს ადგილობრივ, ქვეყნის, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე, ახდენდეს გადაწყვეტილებების, მიღწევებისა და შედეგების, მათ შორის გაეროს როლის დემონსტრირებას მიგრაციის გლობალური კომპაქტის დანერგვის მხარდაჭერის საკითხში.

ძირითადი პრიორიტეტი 5

სამუშაო პროცედურების მიმოხილვა და ქსელის ყოველწლიური შეხვედრის, ასევე ორ წელიწადში ერთხელ ხელმძღვანელთა შეხვედრის მომზადება დროულად ხორციელდება

აქტივობები:

1. ქსელის კვარტალური კონსულტაციებისთვის მზადება
   - ვადა: 2021 – 2022
2. დაინტერესებულ მხარეთა კვარტალური კონსულტაციებისთვის მზადება
   - ვადა: 2021 - 2022
3. ქსელის ყოველწლიური შეხვედრისთვის მზადება
   - ვადა: 2021 წლის პირველი - მე-2 კვარტალი
4. აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელთა შეხვედრისთვის მზადება ორ წელიწადში ერთხელ
   - ვადა: 2021 - 2022

თემატური მიზნები

არსებული თემატური სამუშაო ჯგუფები (TWGs)

თემატური სამუშაო ჯგუფი: იმიგრაციული დაკავების ალტერნატივები

აქტივობები:

1. მეორე სასწავლო ღონისძიება წევრ სახელმწიფოებს შორის
   - ვადა: 2021 წლის ივლისისთვის
2. შემდგომი სწავლების შესაძლებლობების შენარჩუნება და ხელშეწყობა წევრ სახელმწიფოებს შორის
   - ვადა: 2021 წლის ივლისისთვის (გაგრძელდება ქსელის მეშვეობით მე-3-მე-4 კვარტალში)
3. წევრი სახელმწიფოების კონსტრუქციული ჩართულობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა მიგრაციის გლობალური კომპაქტის მე-13 მიზნის განხორციელებასთან დაკავშირებით, კომპაქტის რეგიონული მიმოხილვებისა და ჩართულობის სხვა შესაძლებლობების გზით
   - ვადა: 2021 წლის ივლისისთვის (გაგრძელდება ქსელის მეშვეობით მე-3-მე-4 კვარტალში)
4. ცოდნის პლატფორმასა და შესაძლებლობების შექმნის მექანიზმის მასალებითა და რესურსებით უზრუნველყოფა იმიგრაციული დაკავების ალტერნატივებთან დაკავშირებით
   - ვადა: 2021 წლის ივლისისთვის (გაგრძელდება ქსელის მეშვეობით მე-3-მე-4 კვარტალში)
5. იმიგრაციული დაკავების ალტერნატივებთან დაკავშირებით სტრატეგიის მომზადება მიგრაციის მიმოხილვის საერთაშორისო ფორუმისთვის მზადების პერიოდში
   - ვადა: 2021 წლის ივლისამდე სხვა წამყვანი ორგანიზაციები IDC, UNHCR, UNICEF

წევრები: IOM; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR); სპეციალური მომხსენებელი მიგრანტთა უფლებების საკითხებზე; საერთაშორისო სოციალური მომსახურება (ISS); აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ლტოლვილთა უფლებების ქსელი (APRNN); გლობალურ კომპაქტებში ბავშვთა უფლებების ინიციატივა; გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაცია (UCLG); Better Care Network; Bloque Latinoamericano en la Migración; ექიმები ადამიანის უფლებებისთვის; უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM); ტაილანდის თავშესაფრის ხელმისაწვდომობის ორგანიზაცია (Asylum Access Thailand); Host International; ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ODIHR/OSCE; გაეროს ბავშვთა და ახალგაზრდობის ძირითადი ჯგუფი (UNMGCY) და ლტოლვილთა ქალთა კომისია

დამკვირვებლები: დაკავების გლობალური პროექტი; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *13, 7 და 10*

თემატური სფერო 2 - *მიგრანტთა უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვა, მათ შორის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრისა და მიგრაციის პროცესში დაუცველობის გამოსწორების გზით*

თემატური სამუშაო ჯგუფი: კანონიერი გზების გაუმჯობესება დაუცველ მდგომარეობაში მყოფი მიგრანტებისთვის

აქტივობები:

6. ღონისძიება მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობით დაუცველ მდგომარეობაში მყოფ მიგრანტთა ქვეყანაში დაშვებისა და დარჩენის გზებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესამუშავებლად და დადებითი პრაქტიკის გასაზიარებლად
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
7. მითითებები სახელმწიფოებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისათვის დაუცველ მდგომარეობაში მყოფ მიგრანტთა ქვეყანაში შემოსვლისა და დარჩენის გზების შემუშავების, დანერგვისა და მიმოხილვის შესახებ
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
8. ინფორმაციის გავრცელება სახელმძღვანელო ბარათის ასამოქმედებლად და ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მისი დანერგვის ხელშეწყობა
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
9. წევრ სახელმწიფოთა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა სახელმძღვანელო ბარათის რეგიონულ და ეროვნულ დონეზე დანერგვის სტრატეგიებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი (გაგრძელდება ქსელის მეშვეობით მე-3-მე-4 კვარტალში Q3 –Q4)
10. ცოდნის პლატფორმის მასალებითა და რესურსებით უზრუნველყოფა დაუცველ მდგომარეობაში მყოფ მიგრანტთა ქვეყანაში დაშვებისა და დარჩენის გზებთან დაკავშირებით
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი

სხვა წამყვანი ორგანიზაციები ACT ალიანსი, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ლტოლვილთა უფლებების ქსელი (APRNN), გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)

წევრები: ILO, IOM, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), გაეროს განსახლების პროგრამა(UN-Habitat), გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატი(UNHCR), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), გაეროს უნივერსიტეტი (UNU), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), კლიმატური მიგრაციისა და გადაადგილების საგანგებო ჯგუფი (Ad Hoc Climate Migration and Displacement Group), Caritas Internationalis, CELS, მიგრაციის გლობალური კომპაქტის ფარგლებში ქალთა უფლებებზე მომუშავე ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, FM4 Paso Libre, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI), მიგრაციის გლობალური კოალიცია, მოხალისეობრივი სააგენტოების საერთაშორისო საბჭო (ICVA), გლობალურ კომპაქტებში ბავშვთა უფლებების დაცვის ინიციატივა, საერთაშორისო მიგრანტთა უფლებების ინიციატივა (IMBR Initiative), IMUMI/Bloque Latinoamericano, მიგრანტთა საერთაშორისო კათოლიკური კომისია (ICMC), კალდორის ცენტრი/ საერთაშორისო მიგრაციის კვლევითი ინსტიტუტი (Kaldor Centre/ISIM), შერეული მიგრაციის ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციების კომიტეტი მიგრაციის შესახებ, Oxfam International, უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM), კატასტროფით გამოწვეული გადაადგილების პლატფორმა, სოლიდარობის ცენტრი, ქალები მიგრაციის ქსელში

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *5 და 7*

თემატური სფერო 2 - *მიგრანტთა უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვა, მათ შორის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრისა და მიგრაციის პროცესში დაუცველობისგამოსწორების გზით*

თემატური სამუშაო ჯგუფი: კანონიერი გზების გაუმჯობესება შრომითი მიგრაციის ორმხრივი შეთანხმებების საშუალებით

აქტივობები:

1. მე-4 თემატური სამუშაო ჯგუფის მითითებების დასრულება და დანერგვა შრომითი მიგრაციის ორმხრივი შეთანხმებების შესახებ
    - ვადა: პირველი კვარტალი (მითითებების დასრულება);

მე-2 – მე-4 კვარტალი (გამოცდა)

სხვა წამყვანი ორგანიზაციები ILO, IOM

წევრები: ამერიკის შრომის ფედერაცია და სამრეწველო ორგანიზაციების კონგრესი (AFL-CIO), მშენებლობისა და ხის დამუშავების სფეროში დასაქმებულთა საერთაშორისო ორგანიზაცია (BWI), გაეროს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი მიგრაციის გლობალური კომპაქტში ქალების უფლებების შესახებ (EWG), UNHCR, სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE), პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაცია (ITUC), მიგრანტთა ფორუმი აზიაში (MFA), საჯარო სერვისების საერთაშორისო ორგანიზაცია (PSI), სოლიდარობის ცენტრი, UN Women, WHO, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ქალები მიგრაციის ქსელში (WIMN)

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *5, 6, 18 და 19*

თემატური სფერო 4 -*კანონიერი მიგრაციის, ღირსეული დასაქმებისა და განვითარებაზე ადამიანთა მობილობის პოზიტიური გავლენის გზების გაუმჯობესება*

თემატური სამუშაო ჯგუფი: უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა და მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველყოფა

აქტივობები:

1. ინსტრუმენტებისა და რესურსების, მათ შორის დაბრუნებისა და მდგრადი რეინტეგრაციის პრაქტიკის შეფასების ინსტრუმენტისსრულად ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა და მდგრადი რეინტეგრაციის სფეროში არსებული ხარვეზებისა და დადებითი პრაქტიკის რუკაზე დატანა და გაეროს ერთიანი პოზიცია უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა და მდგრადი რეინტეგრაციის შესახებ; და ამ ყველაფრის ქსელის საშუალებით დანერგვის შესაძლებლობების განსაზღვრა (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ქსელის მუშაობით იძულებითი დაბრუნებისა და კოვიდ-19-ის საკითხებთან დაკავშირებით – ქვემოთ იხ. თემატური მიზანი 1, აქტივობა 6).
    - ვადა: 2021 წლის პირველი კვარტალი

სხვა წამყვანი ორგანიზაციები გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), IOM, UNICEF

წევრები: FAO, ILO, გაეროს განსახლების პროგრამა (UN-Habitat), UNDP, UNHCR, გაეროს უნივერსიტეტი (UNU), მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), Alianza Americas, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ლტოლვილთა უფლებების ქსელი (APRRN), Catalyze Change, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI), დაკავების

გლობალური პროექტი; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), გლობალურ კომპაქტებში ბავშვთა უფლებების დაცვის ინიციატივა, დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE), საერთაშორისო სოციალური მომსახურება (ISS), ჯილ ალპესი (მკვლევარი), MPI, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM), დეპორტაციის შემდგომი მონიტორინგის ქსელი, გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიგრანტთა უფლებების საკითხებზე, დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE), საერთაშორისო სოციალური მომსახურება (ISS), ჯილ ალპესი (მკვლევარი), MPI, NRC, უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM), დეპორტაციის შემდგომი მონიტორინგის ქსელი, გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიგრანტთა უფლებების საკითხებზე NRC, უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM), დეპორტაციის შემდგომი მონიტორინგის ქსელი, გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიგრანტთა უფლებების საკითხებზე

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *21, 7, 10, 12, 15, და 16*

თემატური სფერო 3 - *უკანონო მიგრაციის პრობლემის გადაჭრა საზღვრების მართვისა და მეზობელ ქვეყნებს შორის დანაშაულთან ბრძოლის გზით*

ახალი თემატური პრიორიტეტები

თემატური პრიორიტეტი 1

მიგრანტებისა და მიგრაციის გლობალური კომპაქტის გათვალისწინება კოვიდ-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებებში

აქტივობები:

1. ქსელის განცხადება მიგრანტებისთვის კოვიდ-19-ის ვაქცინების თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ
    - ვადა: 2021 წლის თებერვალი
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: WHO
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი
2. ქსელის პოლიტიკის შემაჯამებელი დოკუმენტიკოვიდ-19-ისა და მიგრანტების შესახებ მომზადებულია და დაგზავნილია ქვეყნის, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: WHO
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: IOM, FAO, UNICEF, UNDP, გაეროს აივ ინფექციიის/შიდსის პროგრამა (UNAIDS), გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ILO, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), UN Women, UNFPA, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), საჯარო სერვისების საერთაშორისო ორგანიზაცია (PSI), გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაცია (UCLG), უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM), წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა (IFRC)
3. კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეროვნულ პროგრამებში და ჯანდაცვისა და აღდგენის სხვა ღონისძიებებში მიგრანტთა ჩართვის პრაქტიკული ინსტრუმენტები
    - ვადა: 2021
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: WHO and გაეროს განსახლების პროგრამა (UN-Habitat)
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: IOM, FAO, UNICEF, UNDP, UNAIDS, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ILO, UN Women, UNFPA, PSI, გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაცია (UCLG), წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა (IFRC)
4. ქვეყნების ტექნიკური დახმარება გაეროს ეროვნული ქსელების, ჩემპიონი ქვეყნებისა და გაეროს ეროვნული გუნდების მიერ, მათ შორის ვაქცინების გამოყენებისა და ვაქცინაციის ეროვნულ პროგრამებში მიგრანტთა ჩართულობის ხელშეწყობის შესახებ ვებინარებისა და ტექნიკური ინსტრუქტაჟის მეშვეობით
    - ვადა: 2021
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: WHO
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: IOM, FAO, UNICEF, UNDP,

UNAIDS, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ILO, UNFPA, UN Women, UNFPA, PSI, გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაცია (UCLG), უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM), წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა (IFRC)

5. გაეროს ეროვნული გუნდების მხარდაჭერა კოვიდ-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებებში მიგრაციის/ მიგრაციის გლობალური კომპაქტის გათვალისწინების საკითხებში
    - ვადა: 2021
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: IOM, UNDP, WHO, ILO
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები:
6. დეპუტატთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში იძულებით დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის, მხარდამჭერი სტრატეგიისა და დაბრუნებისა და რეინტეგრაციის თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებით
    - ვადა: 2021
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: ILO, IOM, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), UNHCR, UNICEF, WHO
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები:

7. ერთობლივი ინიციატივების განხორციელება მიგრანტთა სოციო-ეკონომიკური (რე)ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კოვიდ-19-ის შემდგომი აღდგენის ღონისძიებების პროცესში და არა მხოლოდ.

- ვადა: 2021
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: ILO and UNDP
- მიგრაციის ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები:

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *15, 16, 19 და 21*

თემატური სფერო 5: *მიგრანტთა სოციალური ჩართულობისა და ინტეგრაციის გაუმჯობესება*

თემატური პრიორიტეტი 2

მიგრაციის შესახებ გლობალური შეთანხების გამოყენება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და უთანასწორობის შემცირების მიზნით

აქტივობები:

1. 1. ქსელის განცხადება მიგრაციის გლობალური კომპაქტისა და მდგრადი განვითარების შესახებ, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმისთვის (HLPF) (6 – 15 ივლისი)

   - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
   - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: IOM, UNDP, DESA
   - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: ILO

2. ქსელის ნაშრომი მიგრაციისა და უთანასწორობების შესახებ

   - ვადა: 2021
   - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: IOM
   - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: გაეროს ადამიანის

     უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) მიგრაციის შესახებ

     გლობალური კომპაქტის მიზნები*: საერთო საკითხი*

თემატური სფერო 4: *კანონიერი მიგრაციის, ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა და განვითარებაზე ადამიანთა მობილობის პოზიტიური გავლენის გაძლიერება*

თემატური პრიორიტეტი 3

მიგრაციის ქსელის პოლიტიკის შემაჯამებელი დოკუმენტი „ოჯახების მიერ მიღებულ ფულად გზავნილებზე კოვიდ-19-ის გავლენის შესახებ" რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება

აქტივობები:

1. G20-ის - „გლობალური პარტნიორობა ფინანსური ჩართულობისთვის" მხარდაჭერა ფინანსური გზავნილების ეროვნული გეგმების მიმოხილვისა და ფულად გზავნილებზე კოვიდ-19-ის გავლენის შესახებ, ფულადი გზავნილების სამუშაო ჯგუფთან დაკავშირების გზით (RCTF)

- ვადა: 2021
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: IFAD
- ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: RCTF-ის ქსელის წევრები

2. ფულადი გზავნილების, ინვესტიციებისა და განვითარების გლობალური ფორუმის (GFRID) სამიტის მხარდაჭერა ივნისში ქსელის კოორდინატორისა და წევრთა ჩართულობის გზით

- ვადა: 2021 წლის პირველი - მე-2 კვარტალი
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

3. ოჯახში ფულადი გზავნილების საერთაშორისო დღის (IFDR) 2021 წლის კამპანიის მხარდაჭერა, 16 ივნისს ქსელის მიერ გაკეთებული განცხადებისა და კამპანიაში ჩართვის გზით

- ვადა: 2021 წლის პირველი - მე-2 კვარტალი
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: IFAD
- ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: UNDP

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *20*

თემატური სფერო 4: *კანონიერი მიგრაციის, ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა და განვითარებაზე ადამიანთა მობილობის პოზიტიური გავლენის გაძლიერება*

თემატური პრიორიტეტი 4

კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმებისა და მიგრაციის გლობალური კომპაქტით კლიმატის ცვლილებისა და მიგრაციის შესახებ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერა

აქტივობები:

1. ქვეყნისა და რეგიონული დონის ქსელების ტექნიკური მითითებების შემუშავება მთავრობების მხარდასაჭერად COP 26-თან დაკავშირებით

- ვადა: 2021- 2022
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC), IOM
- ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: FAO, ILO, UNDP, UNHCR, UNICEF, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ქალები მიგრაციის ქსელში (WIMN)

2. დიალოგის ჩამოყალიბება პრაქტიკის, ცოდნისა და დაინტერესებულ მხარეებთან და სახელმწიფო ინიციატივებთან თანამშრომლობის გაძლიერების საკითხებზე იმ გარე დაინტერესებულ მხარეებთან/ინიციატივებთან კოორდინაციით, რომლებიც მუშაობენ ადამიანთა მობილობის სხვა ფორმებზე (მაგ. გადაადგილება და დაგეგმილი განსახლება)

- ვადა: 2021- 2022
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: UNFCCC, IOM
- ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: UNHCR, UNICEF, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ILO, ქალები მიგრაციის ქსელში (WIMN)

3. კლიმატის ცვლილებისა და მიგრაციის საკითხების ურთიერთსარგებლის უზრუნველყოფა, მათ შორის ჩემპიონ ქვეყნებში.

- ვადა: 2021- 2022
- მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: UNFCCC, IOM

- ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები: UNICEF, UNHCR, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ILO, ქალები მიგრაციის ქსელში (WIMN)

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *2, 7*

თემატური სფერო 2: *მიგრანტთა უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვა, მათ შორის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრისა და მიგრაციის პროცესში დაუცველობის გამოსწორების გზით*

თემატური პრიორიტეტი 5

მიგრანტთა დაცვის უზრუნველყოფა საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანაზე რეაგირების გაძლიერების გზით

აქტივობები:

1. ქსელის განცხადება "მიგრანტთა დაცვის უზრუნველყოფა სისხლის სამართლის რეაგირების გაძლიერების გზით საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის საკითხებთან დაკავშირებით, საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ ოქმისა და უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ გლობალური კომპაქტის მე-9 მიზნის შესაბამისად" (17 მაისი – დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის გახსნა (CCPCJ))
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), IOM
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული მხარეები:
2. მიგრაციის ქსელის პარალელური ღონისძიება ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ: "მიგრანტთა დაცვის უზრუნველყოფის შესახებ სისხლის სამართლის რეაგირების გაძლიერების გზით საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის საკითხებთან დაკავშირებით, საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ ოქმისა და უსაფრთხო, მოწესრიგებული და კანონიერი მიგრაციის შესახებ გლობალური კომპაქტის მე-9 მიზნის შესაბამისად"
    - ვადა: 2021 წლის მე-2 კვარტალი
    - მიგრაციის ქსელი და წამყვანი დაინტერესებული მხარეები: გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), IOM
    - ქსელი და წევრი დაინტერესებული

მხარეები: მიგრაციის კომპაქტის მიზანი: *7, 9, 10, 11*

თემატური სფერო 3: *უკანონომიგრაციის პრობლემის გადაჭრა საზღვრების მართვისა და მეზობელ ქვეყნებს შორის დანაშაულთან ბრძოლის გზით*

თემატური პრიორიტეტი 6

ქსელის მუშაობის პროცესში ანტიდისკრიმინაციული ასპექტების გამოყენების გაძლიერება, მათ შორის რასიზმთან, ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით

აქტივობები:

1. განცხადება რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით
    - ვადა: 2021 წლის პირველი კვარტალი და 2022 წლის მე-2 კვარტალი
2. ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების სერიის გამართვა, მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრის სადისკუსიო სივრცისა და მოსმენების სახით დისკრიმინაციის

აკრძალვის შესახებ, მათ შორის რასიზმის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის თემებზე მიგრაციის კომპაქტის განხორციელების პროცესში, სირთულეების იდენტიფიცირების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და დადებითი პრაქტიკის მოძიების მიზნით

- ვადა: 2021 წლის მე-2 და მე-3 კვარტალი და მიმდინარე

3. პოლიტიკისა და საინფორმაციო პროდუქტების მომზადება ქსელის წევრების მიერ და არსებული პროდუქტების გავრცელების ხელშეწყობა

   ვადა: 2021 წლის მე-2-მე-4 კვარტალი

4. მიგრაციის კომპაქტის ჩემპიონი ქვეყნების მხარდაჭერა, რათა მათ იმოქმედონ ჩემპიონების რანგში მიგრაციის კომპაქტის არადისკრიმინაციული დანერგვის საკითხებში, მოქმედებით ან განცხადებით მოიხსენიონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პრაქტიკის გაცვლის მოდელი და მხარი დაუჭირონ მას

   - ვადა: 2021- 2022

5. მიგრაციის კომპაქტის არადისკრიმინაციული დანერგვის ხელშეწყობა შესაძლებლობის შექმნის სწავლებების მეშვეობით საცდელ ქვეყნებსა და რეგიონებში

   - ვადა: 2022 წლის პირველი და მე-2 კვარტალი
   - ვადა: 2021- 2022

წევრები რასიზმის აკრძალვის საკითხში: AFFORD (AFFORD-ის განვითარების ფონდი), სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი, კვაკერთა გაეროს ოფისი (QUNO)

მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *ყველა*

თემატური სფერო 1: *ფაქტებზე დაფუძნებული და მონაცემებზე ორიენტირებული მიგრაციის დისკურსის, პოლიტიკისა და დაგეგმვის მხარდაჭერა*

თემატური პრიორიტეტი 7

ქსელის მუშაობის პროცესში ანტიდისკრიმინაციული ასპექტების გამოყენების გაძლიერება, მათ შორის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით

აქტივობები:

1. ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების სერიის გამართვა, მიგრაციის ქსელის საინფორმაციო ცენტრის სადისკუსიო სივრცისა და მოსმენების სახით დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, მათ შორის გენდერის საკითხებზე მიგრაციის კომპაქტის განხორციელების პროცესში სირთულეების იდენტიფიცირების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და დადებითი პრაქტიკის მოძიების მიზნით

   - ვადა: 2021 წლის მე-2 და მე-3 კვარტალი და მიმდინარე

2. პოლიტიკისა და საინფორმაციო პროდუქტების მომზადება ქსელის წევრებისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ და არსებული პროდუქტების გავრცელების ხელშეწყობა, როგორიცაა, მაგალითად, გაეროს ქალთა პოლიტიკისა და პრაქტიკის სახელმძღვანელო მიგრაციის კომპაქტის გენდერულად სენსიტიური დანერგვის შესახებ

   - ვადა: 2021 წლის მე-2 -მე-4 კვარტალი

3. მიგრაციის კომპაქტის ჩემპიონი ქვეყნების მხარდაჭერა, რათა მათ იმოქმედონ ჩემპიონების რანგში მიგრაციის კომპაქტის გენდერულად სენსიტიური დანერგვის პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინება, საქმიანობაში ან განცხადებებში ასახვა.
    - ვადა: 2021- 2022
4. მიგრაციის კომპაქტის გენდერულად სენსიტიური დანერგვის ხელშეწყობა შესაძლებლობის შექმნის სწავლებების მეშვეობით საცდელ ქვეყნებსა და რეგიონებში
    - ვადა: 2022 წლის პირველ და მე-2 კვარტალი
    - ვადა: 2021- 2022

წევრები გენდერის საკითხებში: UNW, Gender Hub+, ქალები მიგრაციის ქსელში (WIMN), IOM,

UNICEF მიგრაციის გლობალური კომპაქტის მიზნები: *ყველა*

თემატური სფერო 1: *ფაქტებზე დაფუძნებული და მონაცემებზე ორიენტირებული მიგრაციის დისკურსის, პოლიტიკისა და დაგეგმვის მხარდაჭერა*

United Nations
Network on Migration

Working Better Together